მოგზაურობის ჟამის ამბებიდან ანუ, როგორ შევაყვაროთ მოსწავლეებს წიგნის კითხვა-

ერთი სასკოლო პროექტის შესახებ

ჩემი პედაგოგიური მოგზაურობის ბოლო გაჩერება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიის (პალურის) მე-2 საჯარო სკოლა აღმოჩნდა... აქ უნდა გამეგრძელებინა მოღვაწეობა როგორც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, რომელსაც სხვადასხვა სკოლაში სწავლების თითქმის ორმოცწლიანი ისტორია მაქვს, თუმცა ჩავთვალე, რომ ახალი სკოლა და მოსწავლეები საკმაოდ დიდი და საპასუხისმგებლო გამოწვევა იყო ჩემთვის.

სკოლაში მისულს ინტერესით შემხვდენენ კოლეგები და მოსწავლეები, მათ თვალებში ცნობისმოყვარეობას და დაუფარავ მოლოდინებს ვხედავდი... გადავწყვიტე, დამესახა გრძელვადიანი მიზნები, შემერჩია კლასგარეშე კითხვისთვის ერთი წიგნი მთელი წლის მანძილზე საკითხავად. არჩებანი ანტუან დე სენტ ეგზიუპერის ,,პატარა პრინცზე, შევაჩერე, რათა ჩემს ახალ მოსწავლეებთან ერთად მემოგზაურა პატარა პრინცის გასაოცარ სამყაროში...პროექტი დაიწერა, მიზნებიც განისაზღვრა, ჩანაფიქრიც განხორციელებასაც შევუდექით...

პირველი ნაბიჯი იყო ის, რომ თითოეული მოსწავლისთვის მეჩუქებინა ანტუან დე სენტ ეგზიუპერის წიგნი ,,პატარა პრინცი“.

სპონსორიც გამოჩნდა,(რამაზ კვარაცხელია, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ჩემი ყოფილი მოსწავლე)..მან გადაწყვიტა თითეული მოსწავლე ამ შესანიშვავი ნობათით დაესაჩუქრებინა...

რამდენიმე დღეში გამზადებული ამანათი მივიღეთ... თითეულ წიგნს კონვერტი ჩავაკარი და შიგ ბარათი ჩავდე, რომელშიც ეწერა;

,, ჩემო პატარა მეგობარო!

ეს წიგნი ცხოვრების თანამგზავრად გაიხადე და შენი ხანგძლივი ცხოვრების განმავლობაში ბევრჯერ წაიკითხე, დამიჯერე, ყოველი წაკითხვისას მასში ახალ–ახალ სიბრძნეებს აღმოაჩენ და დაფიქრდები ბევრ რამეზე...მიხვდები იმასაც, რომ , რაც საბავშვო წიგნებში წერია, იმას ყველა უფროსი ვერ გებულობს, რომ არსებობს სამყარო, სადაც სცივათ და შიათ, რომ ყველა დიდი ოდესღაც ბავშვი იყო... როცა დიდი გაიზრდები, წაუკითხე ეს წიგნი შენს შვილებს და შვილიშვილებსაც, ისინიც ამოგზაურე ამ საოცარ სამყაროში...

თქვენი მასწავლებელი“

ასე დაიწყო ჩვენი ,,მოგზაურობის ჟამის ამბები’’....

სასწავლო წლის ერთი დღე (პარასკევი) კლასგარეშე კითხვას დავუთმეთ....

დაიგეგმა და გაიწერა აქტივობები, რა უნდა გაგვეკეთებინა და როგორ...

მოსწავლეებმა ჩემთან ერთად აღმოაჩინეს მწერალი, მფრინავი ანტუანი, მიხვდნენ იმას, რამ გადააწყვეტინა მას ამ წიგნის დაწერა... ერთად წავიკითხეთ ექვსი წლის ბიჭუნას განცდების შესახებ, როგორ შეეფეთა ნახატებიან წიგნში მახრჩობელა გველი , რომელიც რაღაც დიდ ცხოველს ყლაპავდა...ვისაუბრეთ უცნაურ უფროსებზე, რომელთაგან ვერც ერთი ვერ მიხვდა, თუ რა იყო გამოსახული ნახატზე...

გამოვიყენეთ კითხვის და წერის სხვადასხვა სტრატეგია;

,, კომიქსებით სწავლება“,, დიორამა’ ,,განგრძნობითი კითხვა“ ,, ბრმა კითხვა ‘’, ამბის გაგრძელება, ვარაუდები,პერსონაჟთა რუკა, რეპორტაჟი , გამოცნობანა. ერთი სიტყვით ამბის დაწერა, ასოციაციური თხზულება, სახე სიმბოლოების გააზრება....

უნდა ვთქვა, რომ სასწავლო წლის მანძილზე წიგნის მიმართ ინტერესი არ განელებულა, მოსწავლეები აღმოაჩენდნენ მათთვის უცნობ ამბებს, თითქოს მართლაც მოგზაურობდნენ პატარა პრინცთან ერთად და ეცნობოდნენ სამყაროს და ადამიანებს, რომლების ათასგვარი უცნაურობებით ხასიათდებოდნენ...

თითქოს თითოეული გვერდის წაკითხვის შემდეგ რაღაც საიდუმლოს ამოხსნის სურვილი ეუფლებოდათ, და ჩნდებოდა კითხვები, რომელზეც პასუხის გაცემას ისევ თვითონ ცდილობდნენ....

ამჯერად თქვენს ყურადღებასერთ–ერთ აქტივობას მივაპყრობ:

კომიქსებით სწავლება:

წიგნიდან ვკითხულობთ ერთ თავს: თავი მერვე ,,ვარდის დაბადება“

მალე შემთხვევა მომეცა უფრო ახლოს გამეცნო ეს ყვავილი. პატარა უფლისწულის პლანეტაზე ყოველთვის ხარობდნენ უბრალო ყვავილები, რომლებსაც ფურცლები მხოლოდ ერთ წყებად ჰქონდათ, ძალიან მცირე ადგილი ეკავათ და არავის აწუხებდნენ თავიანთი არსებობით. დილით ისინი მორცხვად გამოიხედავდნენ ბალახებიდან და იმავე საღამოს ქრებოდნენ. ერთ დილას კი თესლიდან, რომელიც არავინ იცის, საიდან გაჩნდა პატარა უფლისწულის პლანეტაზე, მოულოდნელად ახალი ყლორტი ამოიზარდა. პატარა უფლისწული ყურადღებით დააცქერდა ახალ მორჩს, რომელიც მისი პლანეტის არცერთი სხვა მცენარის ღეროს არ ჰგავდა. ხომ შეიძლებოდა, რომ იგი ბაობაბის ახალი ჯიში ყოფილიყო? მაგრამ ბუჩქმა მალე

შეწყვიტა ზრდა და კოკორი გამოიღო. პატარა უფლისწულმა, რომელსაც არასოდეს ენახა ასეთი კოკორი, მაშინვე იგრძნო, რომ რაღაც სასწაული უნდა მომხდარიყო. ყვავილს კი ჯერ არ დაემთავრებია მორთვა-მოკაზმვა თავის მწვანე სანთიობოში. იგი გულდასმით ირჩევდა ფერებს და ნელ-ნელა იმოსებოდა საგანგებოდ შერჩეული ნაირ-ნაირი ფურცლებით. მას არ სურდა ულაზათოდ მოსულიყო ამქვეყნად, როგორც ეს მინდვრის ყაყაჩოებს სჩვევიათ ხოლმე. სურდა ყველასათვის მოეჭრა თვალი თავისი სინატიფით. იგი დიდი კეკლუცი არსება იყო! მისი საიდუმლო სამზადისი კარგა ხანს გრძელდებოდა. და აი ერთ დილას, ამოვიდა თუ არა მზე, იგი გაიფურჩქნა.

და, თითქოს ასე გულმოდგინედ არ ემზადებოდაო, დაამთქნარა და წარმოთქვა:

- ოჰ! ძლივს არ გავიღვიძე... გთხოვთ მომიტევოთ.... ჯერ დავარცხნილიც არა ვარ.

პატარა უფლისწულმა ვერ დაფარა თავისი აღტაცება:

- რა მშვენიერი ხართ!

- მართლა? - ნაზად მიუგო ყვავილმა. - მე ხომ მზესთან ერთად დავიბადე.

პატარა უფლისწული, რა თქმა უნდა, მიხვდა, რომ იგი მაინცა და მაინც კდემამოსილი არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ, მომხიბვლელი რამ იყო!

- მგონი საუზმის დროა, - დასძინა ცოტა ხნის შემდეგ ყვავილმა. - იქნებ გაისარჯოთ და იზრუნოთ ჩემზე...

პატარა უფლისწული ძალიან შეცბუნდა, მერე სარწყული მოიტანა და ყვავილი წყლით მორწყო.

მალე ყვავილმა თავისი ცუდმედიდობით და ჭირვეულობით მთლად გააწამა საბრალო უფლისწული. ერთხელ, თავის ოთხად ოთხ ეკალზე რომ ლაპარაკობდა, უფლისწულს უთხრა:

- მობრძანდნენ ერთი ის ვეფხვები, ბრჭყალებს რომ უქებენ.

- ჩემს პლანეტაზე ვეფხვები არ არიან, - განუმარტა პატარა უფლისწულმა, - და, ასეც რომ იყოს, ვეფხვები ბალახს არ ჭამენ.

- მე ბალახი არა ვარ, - შენიშნა განაწყენებულმა ყვავილმა.

- მომიტევეთ...

- ვეფხვები ვერ შემაშინებენ, მაგრამ ორპირი ქარისა კი ძალიან მეშინია. თეჯირი ხომ არა გაქვთ?

„ორპირი ქარის შიში უბედურებაა მცენარისათვის, - გაიფიქრა პატარა უფლისწულმა, - ეს ყვავილი ძალიან მგრძნობიარე ყოფილა...“

რომ მოსაღამოვდება, სარქველი დამახურეთ. აქ, თქვენთან ძალიან ცივა. ძალიან მოუწყობელია აქაურობა. იქ, საიდანაც მე მოვედი...

და უცებ ხმა გაკმინდა. იგი ხომ პატარა თესლის სახით მოვიდა ამ პლანეტაზე და არ შეეძლო რამე სცოდნოდა სხვა ქვეყნებზე. ასეთი მტკნარი სიცრუე რომ წამოსცდა, დარცხვენილმა ორჯერ ჩაახველა, რომ პატარა უფლისწულისთვის მისი დანაშაული ეგრძნობინებინა.

- თეჯირი სადაა?..

- მის მოსატანად ვაპირებდი წავსლას, მაგრამ თქვენ მელაპარაკებოდით!

მაშინ ყვავილმა უფრო ძლიერი ხველა ატეხა, რომ პატარა უფლისწულს სინდისის ქენჯნა ეგრძნო.

თუმცა პატარა უფლისწული თავს ევლებოდა თავის სატრფოს, მაგრამ მალე შეერყა მისდამი რწმენა. იგი გულდასმით უსმენდა მის უმართებულო სიტყვებს და ძალიან უბედურად თვლიდა თავს.

„არ უნდა დამეგდო მისთვის ყური, - გამანდო ერთხელ, - არასოდეს არ უნდა მოუსმინო ყვავილებს. მარტო მათი ქცერით და სურნელებით უნდა დატკბე. ჩემმს ყვავილმა მთელ ჩემს პლანეტაზე მოჰფინა სურნელება, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ დავმტკბარიყავი ამით. ვეფხვებისა და ბრჭყალების ამბებს არ უნდა გავებრაზებინე, უფრო მეტად უნდა შემბრალებოდა იგი...“

და მერე დასძინა:

- მაშინ არაფერი გამეგებოდა! მისი საქციელისათვის უნდა მიმექცია ყურადღება და არა მისი სიტყვებისათვის. იგი მე სურნელებას მაკმევდა და ცხოვრებას მინათებდა. არ უნდა გამოვქცეოდი! მის გულუბრყვილო ოინებში მისი სინაზეც უნდა დამენახა. ყვავილი ხომ ისეთი ცვალებადია! მაგრამ მაშინ ძალიან პატარა ვიყავი და სიყვარულის არა გამეგებოდა რა.

როგორც ვხედავთ, მერვე თავში აღწერილია, როგორ იბადება ვარდი, განსხვავებული ყვავილი.

მოსწავლეები ჰყოფენ ამ თავს აბზაცებად და ასათაურებენ. ერთ აბზაცს ერთი ნახატი შეესაბამება , რომელზეც წერენ პერსონაჟის სიტყვებს, ცნობილია, რომ თვითონ წიგნი ილუსტრირებულია და მისი დაკომიქსება ადვილია. მოსწავლეთა ორი ჯგუფი მუშაობს , ოთხ–ოთხი მოსწავლე, სტანდარტის ფურცელს გადაკეცავენ იმდენ ნაწილად, რამდენი ეპიზოდის დაკომიქსება შეუძლიათ, იწყებენ მუშაობას, აქტიურად ერთვება ყველა მათგანი, ბოლო ათი წუთი პრეზენტაციას დაეთმობა....

ასე ვიმუშავეთ ამ წიგნზე მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, ვნახეთ ამ წიგნის სხვადასხვა ეკრანიზაცია, ანიმაციაც, ვერ ვიტყვი , რომ ამოვწურეთ, ამის გაკეთება , უბრალოდ, შეუძლებელია, მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ მუშაობის პროცესი საინტერესო, სახალისო და შემეცნებითი იყო, რაც მთავარია, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსწავლეთა წერისა და კითხვის უნარები.

და რაც მთავარია, მათ არასდროს დაავიწყდებათ:

,,ყველა დიდი ოდესღაც ბავშვი იყო’...

,,უფროსი ადამიანები დამოუკიდებლად ვერაფერს იგებენ“...

,,თუ სულ პირდაპირ ივლი, შორს ვერ წახვალ“

,,მხოლოდ ბავშვებმა იციან ზუსტად, რას ეძებენ“

,,შენ პასუხისმგებელი ხარ მასზე, ვინც მოათვინიერე“

მაინც რას ნიშნავს მოთვინიერება?’

და ბოლოს , მინდა ვთქვა, მცირე საგაზეთო სტატია ოდნავადაც ვერ ამოწურავს სათქმელს, ჩვენ კი,ვინც ერთმანეთი მოვათვინიერეთ, კვლავაც გავაგრძელებთ ამ წიგნის კითხვას...

ასმათ კვარაცხელია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიის(პალურის) N2 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი